სარჩევი

რა არის ახალი 2

კლიენტთან შეღწევადობის ანგარიშგება 2

გაყიდვების გეგმის ფუნქციონალის დახვეწა 3

გაყიდვების გეგმის დოკუმენტი 3

გაყიდვების გეგმა ნომენკლატურის მიხედვით 3

გაყიდვების გეგმა კატეგორიების მიხედვით 4

გაყიდვების გეგმა სავაჭრო აგენტის მიხედვით 4

გეგმის შესრულების რეპორტი 5

მყიდველის ტრანზაქციების გატარების შეზღუდვა მისაღები გადახდების ვადაგადაცილებების მიხედვით 5

ამონაწერის ჩატვირთვისას თანამშრომლის ძირითადი დარიცხვის ტიპის გათვალისწინება. 7

საპენსიო შენტანატის დათვლის გათვალისწინება დარიცხვის ტიპების მიხედვით 7

გასწორებული შეცდომები 9

სხვა მოდიფიკაციები 9

ბალანსის რელიზი_1.3.8.12

01.10.2024

რა არის ახალი

კლიენტთან შეღწევადობის ანგარიშგება

დისტრიბუციის მოდულში არის ასევე მაღაზიებში შეღწევადობის რეპორტი, რომელშიც გამოდის ინფორმაცია სავაჭრო წარმომადგენლის მიერ მაღაზიების ათვისების შესახებ.

რეპორტში ჩანს სავაჭრო წარმომადგენლის მყიდველები, მათზე გაფორმებული რეალიზაციების რაოდენობა. შეღწევადობის რაოდენობა ითვლება იმის მიხედვით, სავაჭრო წარმომადგენელი ერთხელ მაინც თუ შევა მაღაზიაში, ანუ ერთ რეალიზაციას მაინც თუ გააფორმებს ამ მყიდველზე.

სავაჭრო წარმომადგენლის მყიდველების რაოდენობისა და შეღწევადობის რაოდენობის მიხედვით კი ანგარიშდება მაღაზიებში შეღწევადობის პროცენტი.



სავაჭრო წარმომადგენელი კლიენტი	რეალიზაციების რაოდენობა	კლიენტების რაოდენობა	შეღწევადობა	შეღწევადობის პროცენტი %
mardiapp2@gmail.com		24.0000	17.0000	70.83
გვირილა				
გვირილა, ჭავჭავაძე	11.0000			
გულდილი	7.0000			
გულდილი, ჭავჭავაძის 34	46.0000			
ევროპროდუქტი, ფიროსმანის 1	6.0000			
ევროპროდუქტი, შარტავას 2	9.0000			
ევროპროდუქტი, ც.დადიანის ქუჩა 103	9.0000			
იმ სატესტოk სატესტოk	18.0000			
კარფური	8.0000			
კარფური, წავკისი	7.0000			
ნიკორა, აღმაშენებლის 58ა	2.0000			
ნიკორა, გორგილაძის 23	2.0000			
ნიკორა, კახეთის გზაჯ ხ/ზ ბაზის მიმდ.3/22				
ნიკორა, ლესელიძეს 11				
ორი ნაბიჯი	4.0000			
ორი ნაბიჯი, გორგასლის 37				
ორი ნაბიჯი, ლერმონტოვის 103	1.0000			
ორი ნაბიჯი, მირიან მეფის 101				
ორი ნაბიჯი, მირიან მეფის 101				
სათაო ფილიალი	4.0000			
სატესტო მყიდველი	8.0000			
საცალო მყიდველი				
ფასები	1.0000			
შვილობილი ფილიალი	3.0000			
სულ		24.0000	17.0000	70.83

გაყიდვების გეგმის ფუნქციონალის დახვეწა

გაყიდვების გეგმის დოკუმენტი

ბალანსის გაყიდვების მოდულში არის გაყიდვების გეგმის დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია გეგმის წინასწარ დადგენა ფილიალების/საწყობების/დეპარტამენტების ჭრილში, შემდგომ კი ამ გეგმის მიხედვით შესრულების ნახვა.

დოკუმენტი ავტომატურად გამოუჩნდებათ გაყიდვების წვდომის ჯგუფში არსებულ მომხმარებლებს. დოკუმენტზე წვდომა შესაძლებელია ჩაირთოს წვდომის ჯგუფის პროფილებიდან. **(ადმინისტრირება>მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები>წვდომის ჯგუფების პროფილები)**

გაყიდვების გეგმის დოკუმენტში ეთითება შემდეგი რეკვიზიტები:

- გეგმის ტიპი - „ნომენკლატურის მიხედვით“, „კატეგორიის მიხედვით“, "სავაჭრო წარმომადგენლის მიხედვით". ტიპების ცვლილების მიხედვით იცვლება დოკუმენტის ცხრილური ნაწილიც.
  თუ ბალანსში არ არის ჩართული დისტრიბუციის კონსტანტა, ამ შემთხვევაში გაყიდვების გეგმის დოკუმენტში სავაჭრო წარმომადგენლის ჭრილში ვერ დავადგენთ გეგმას, შესაბამისად არ გვექნება გეგმის ტიპი „სავაჭრო წარმომადგენლის მიხედვით“.
- პერიოდი - ეთითება პერიოდი, რომელზეც ხდება გეგმის დადგენა
- პერიოდულობა - შესაძლებელია გეგმა დადგინდეს: თვეებზე/კვარტლებზე/ნახევარ წლებზე და წლებზე
- საწყობი - გაყიდვების გეგმის საწყობი (თუ საწყობებით აღრიცხვა არის ჩართული)
- ფილიალი - გაყიდვების გეგმის ფილიალი (თუ ფილიალებით აღრიცხვა არის ჩართული)
- დეპარტამენტი - გაყიდვების გეგმის დეპარტამენტი (თუ დეპარტამენტებით აღრიცხვა არის ჩართული)

გაყიდვების გეგმა ნომენკლატურის მიხედვით

ამ ტიპის არჩევისას ცხრილში ვირჩევთ პროდუქციას, რომელზეც გვინდა გაყიდვების გეგმის დადგენა. გეგმაში ეთითება, როგორც გასაყიდი რაოდენობა, ასევე მოსალოდნელი შემოსავალი. ასევე შესაძლებელია ამ გეგმის ტიპზე სავაჭრო წარმომადგენლის მითითებაც ქუდში, რაც



საშუალებას იძლევა გეგმა და შესრულება დავინახოთ ნომენკლატურისა და სავაჭრო წარმომადგენლის ჭრილში ერთად.

გაყიდვების გეგმა კატეგორიების მიხედვით

ამ ტიპის არჩევისას, ცხრილში ნომენკლატურის ნაცვლად გამოდის კატეგორია, (კატეგორიაში იგულისხმება ნომენკლატურის ჯგუფი) რაც გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ თანხა პროდუქტის სეგმენტების/ბრენდის მიხედვით. ამ გეგმის ტიპზე შესაძლებელია მხოლოდ თანხობრივი გეგმის დადგენა. ასევე ქუდში ეთითება სავაჭრო წარმომადგენლი, რაც საშუალებას იძლევა გეგმა და



შესრულება დავინახოთ კატეგორიისა და სავაჭრო წარმომადგენლის ჭრილში ერთად.

გაყიდვების გეგმა სავაჭრო აგენტის მიხედვით

ამ ტიპის არჩევისას, ცხრილში გამოდის სავაჭრო წარმომადგენელი, რომელზეც შესაძლებელია დავადგინოთ ჯამური გეგმა. ამ გეგმის ტიპზე შესაძლებელია მხოლოდ თანხობრივი გეგმის დადგენა.



როგორც ბალანსში არსებულ სხვა დოკუმენტებზე გაყიდვის გეგმის ცხრილი შესაძლებელია ექსელით შეიტვირთოს, ასევე ჩაერთოს ავტორიზაცია, რაც გულისხმობს მხოლოდ დადასტურებული გეგმის შედარება მოხდებს ფაქტობრივ მონაცემებთან.

დოკუმენტი მოთავსებულია როგორც გაყიდვების, ასევე დისტრიბუციის მოდულში.

გეგმის შესრულების რეპორტი

გაყიდვების გეგმის ფაქტობრივ მონაცემებთან შესადარებლად ბალანსში გაყიდვებისა და დისტრიბუციის მოდულში არის ანგარიშგება გაყიდვების გეგმის შესრულება:

ანგარიშგება გამოუჩნდებათ მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ წვდომა გაყიდვების გეგმის დოკუმენტზე. ანგარიშგების ნახვა ასევე შესაძლებელია ყველა ანგარიშგების ფორმაზე.


გაყიდვების გეგმის შესრულება (გაყიდვების გეგმის შესრულება ნომენკლატურები…

პერიოდი: 01.01.2024 - 31.12.2024 გაყიდვის გეგმა: გაყიდვების გეგმა 1 - 09.10.2024 ნომენკლატურა:

ფორმირება კიდევ 0.00

ნომენკლატურა	ივლისი 2024								აგვისტო 2				
	რაოდენობა				თანხა				რაოდენობა				თა
	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	პროცენტული შესრულება	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	პროცენტული შესრულება	გეგმა	ფაქტი	სხვაობა	პროცენტული შესრულება	გეგ
პროდუქტი 1	100.0000	3.0000	97.0000	3.00	1 200.00	11.48	1 188.52	0.96	200.0000		200.0000		
პროდუქტი 2	150.0000		150.0000		3 100.00		3 100.00		250.0000		250.0000		

ანგარიშგებას აქვს სამი ვარიანტი: „გაყიდვების გეგმის შესრულება ნომენკლატურების მიხედვით“, „გაყიდვების გეგმის შესრულება კატეგორიების მიხედვით“, „გაყიდვების გეგმის შესრულება სავაჭრო წარმომადგენლების მიხედვით“,

ანგარიშგებაში ვირჩევთ პერიოდს და გაყიდვის გეგმის დოკუმენტს. გაყიდვის გეგმის დოკუმენტის ასარჩევად აუცილებლად უნდა მივუთითოთ ის პერიოდი, რომელსაც მოიცავს დადგენილი გეგმის პერიოდი. ანგარიშგების ვარიანტის მიხედვით იფილტრება გაყიდვების გეგმის დოკუმენტიც გაყიდვების ტიპის შესაბამისად.

ანგარიშგება გვიჩვენებს დადგენილ გასაყიდ გეგმის რაოდენობას, ფაქტობრივად რეალიზებულ რაოდენობას, გადახრასა და პროცენტულ შესრულებას. ასევე არის დაგეგმილ და შესრულებულ თანხობრივ მონაცემებზეც.

მყიდველის ტრანზაქციების გატარების შეზღუდვა მისაღები გადახდების ვადაგადაცილებების მიხედვით

პროგრამა ბალანსში შესაძლებელი გახდა მყიდველის შეკვეთის და რეალიზაციის დოკუმენტის შეზღუდვა პროგრამის მომხმარებლისთვის, როცა მითითებულ მყიდველს გააჩნია დავალიანება მისაღები გადახდების ანგარიშგების საფუძველზე საფუძველზე.



მყიდველი / ხელშეკრულება / გრაფიკის თარიღი / გადახდის თარიღი	ვალუტა	გადასახდელი თანხა	გადახდილი თანხა	დარჩა გადასახდელი
შპს 4 ჰოსპიტალსი		300.00	100.00	200.00
ძირითადი ხელშეკრულება	GEL	300.00	100.00	200.00
01.03.2024		100.00	100.00	
03.03.2024			100.00	
04.03.2024		200.00		200.00
სულ		300.00	100.00	200.00

სქრინის მაგალითზე მომხმარებელს, რომლებიც შეზღუდულები იქნებიან, აღნიშნულ მყიდველის ხელშეკრულებაზე 02.03.2024 თარიღში ვერ მოახერხებს მყიდველის შეკვეთისა და რეალიზაციის გატარებას.

მომხმარებელის შეზღუდვისთვის იმ წვდომის პროფილებში, რომელიც გაწერილია აღნიშნულ მომხმარებელზე უნდა გააქტირდეს (ადმინისტრირება>>მომხმარებლის პარამეტრები და უფლებები>>წვდომის ჯგუფის პროფილები)



ამონაწერის ჩატვირთვისას თანამშრომლის ძირითადი დარიცხვის ტიპის გათვალისწინება

პროგრამა ბალანსში შესაძლებელი გახდა თანამშრომლის ბარათზე ძირითადი დარიცხვის ტიპის მითითება რაც იმას გულისხმობს, რომ ამონაწერის ჩატვირთვისას პროგრამა გაითვალისწინებს თითოეულ თანამშრომელზე მითითებულ ძირითად დარიცხვის ტიპს და ტრანზაქციების გატარება მოხდება შესაბამისი ტიპებზე



საპენსიო შენტანატის დათვლის გათვალისწინება დარიცხვის ტიპების მიხედვით

პროგრამა ბალანსში შესაძლებელი გახდა ისეთი დარიცხვის და სარგებლის ტიპის მითითება, რომელიც მიუხედავად იმისა ჩართულია თუ არა თანამშრომელი საპენსიო სქემაში, მასზე გაცემული ამ ტიპის განაცემი არ იბეგრება საპენსიო გადასახადით.




ხელფასი (დარიცხვები და დაკავებები) *
ჩაწერა და დახურვა
ჩაწერა
კიდევ
დასახელება: ხელფასი
ჯგუფი ძირითადი
ტიპი: დარიცხვა დაკავება სარგებელი
თანამშრომელზე გაწეული ხარჯის ტიპი:
მომწოდებლისგან მიღებული მომსახურება
კომპანიის რესურსი
საშემოსავლოს გადახდის წყარო:
საშემოსავლოს ხარჯს გასწევს კომპანია
საშემოსავლო უკავდება თანამშრომელს ხელფასიდან
საშ. გად.-ის განაკვეთი: 20% (ხელფასი)
დარიცხვაში საკადრო ცვლილებების გათვალისწინება:
არ იბეგრება საპენსიოთი:
ხარჯის ანგარიშის შევსება დეპარტამენტის მიხედვით:
ანალიტიკის შევსება დოკუმენტიდან:
გარე კოდი:
შემოსავლის სახე: დამატებითი სარგებელი
დანიშნულება: გადახდა ხელფასი
აღრიცხვის ანგარიშები
ანგარიშსწორების: 3130
ხარჯის:
საშემოსავლო გადასახადი: 3320
გადასახადების ხარჯის:
დაკავების:
ჯგუფი გატარებების მაგალითი
დბ
კრ
თანხა
მინაარსი
7410 3130 127,55 დარიცხულია სარგებლის თანხა (გრ...
3130 1720 100,00 სარგებლის (ნეტო) თანხა დაკავებუ...
3130 3320 25,00 დაკავებულია ფიზ. პირის საშ. გად.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია მიღებული ზედნადების ჩამოტვირთვის დროს დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე შესყიდვის ხარვეზი
- გასწორებულია მომწოდებლის ვალის კორექტირების გატარების ხარვეზი როდესაც კორექტირდება ინდ. მეწარმე მომწოდებლის დავალიანება
- გასწორებულია მყიდველის შეკვეთაში ნაკრების ტიპის ნომენკლატურის არჩევისას, მისი მაკომპლექტებლების შევსების ხარვეზი
- გასწორებულია ავტომატური ფასდაკლების შექმნის ხარვეზი, როდესაც არ არის ჩართული ლოიალურობის ბარათები
- გასწორებულია ანგარიშვალდებული პირის მიერ ვალუტაში შესყიდვისას, ექვივალენტში დავალიანების გადაფარვის ხარვეზი
- გასწორებულია დასაბეგრი ჩამოწერისას მოგების გადასახადის დათვლის ხარვეზი
- გასწორებულია პროდუქციის მარაგად რეალიზაციის დროს თანხის დათვლისა და დღგ-ის გამოთვლის ხარვეზი
- გასწორებულია შეტყობინების შაბლონებში მისაღები გადახდების დავალიანების ფილტრის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- ამონაწერის ჩატვირთვის წესების არჩევადობა თანხის შემოსვლა/გასვლის შესაბამისად
- სერიული აღრიცხვის დახვეწა მარდიში